



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №06

2017 წელი 28 თებერვალი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ წინსვლაში №20 ქუჩის რეაბილიტაციის შესახებ პეტიციის მიზანშეწონილად მიჩნევის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის მე-15 ნაწილისა და „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 13 აგვისტოს №07 დადგენილების 55-ე მუხლის მე-16 პუნქტის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფელ წინსვლაში №20 ქუჩის რეაბილიტაციის შესახებ პეტიცია მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული.
2. ეთხოვოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას უახლოეს ვადებში განახორციელოს პეტიციის შესაბამისი მოთხოვნები.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხრის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ჯუმბერ ვარდმანიძე